1. **სამაგისტრო პროგრამის დასახელება:**
   „ახალი და უახლესი ისტორია“ (Modern and Contemporary History)

2. **მისანიჭებელი ხარისხი:**
   ისტორიის მაგისტრი (Master of Arts in History)

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტისაგან და შედგება სასწავლო (90 კრედიტი) და კვლევითი (30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად) კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტის 20 კრედიტი სავალდებულოა ყველა მოდულისათვის, 70 კრედიტი კი ეთმობა საკუთრივ მოდულის სავალდებულო და არჩევით საგნებს.

4. **სწავლების ენა:** ქართული

5. **პროგრამის მიზანი:** სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მკვლევრების მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში.

ახალი და უახლესი ისტორია არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი, რომლისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში ყოველთვის უდიდესი იყო და დღესაც ყველაზე მეტად შესწავლადი დარგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგს დაფუძნების პერიოდიდანვე ექცეოდა დიდი ყურადღება, რაც გამოიხატა კიდეც XXს. 30-იანი წლების შუახანებში ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ჩამოყალიბებაში. ქართველი მეცნიერები ყოველთვის ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მსოფლიო ისტორიულ აზროვნებას, და, რასაკვირველია, დღეს, როდესაც საქართველო ესწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, მას ნამდვილად სჭირდება ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტები.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მთავარი ამოცანაა, მისცეს მაგისტრატურის მსმენლებს ღრმა ცოდნა ახალ და უახლეს ისტორიაში. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. პროგრამის გავლის შემთხვევაში სტუდენტს ექნება სრული წარმოდგენა ახალი და უახლესი ისტორიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ მიდგომებზე. ამავე დროს, ის მიიღებს კონკრეტულ ცოდნას ევროპისა და ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, შორეული აღმოსავლეთის ისტორიაზე და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაზე აღნიშნულ პერიოდში. შესაბამისად, პროგრამა იყოფა ოთხ მოდულად: 1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია; 2. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 3. შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 4. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში. გარდა საერთო საგნებისა, თითოეულ მოდულს გააჩნია თავისი სავალდებულო და არჩევითი საგნები.

6. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
   - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
   - ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ, სოციალურ, იურიდიულ მეცნიერებებში, მათ დარგებსა/ქვედარგებში; ან ბაკალავრის ხარისხი მიმართულებათშორის დარგებში (კულტურის კვლევები და რეგიონმცოდნეობა); ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს ისტორიის საბაკალავრო დამატებითი (minor) პროგრამა;

- გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში – ახალი და უახლესი ისტორია (საგამოცდო საკითხები იხ.: თსუ-ს ვებ-გვერდზე).
- უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

7. სწავლის შედეგი:

მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს გააჩნია შემდეგი უნარები:

ცოდნა და გაცნობიერება – თანამედროვე მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების ცოდნა; კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის სპეციალიზებული ცოდნა; მსოფლიო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი; ისტორიის მეთოდოლოგიის ცოდნა; ისტორიული მეთოდის განვითარების ეტაპების ცოდნა; სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა; ისტორიის დიდაქტიკის ცოდნა; ისტორიული ან მსგავსი მონაცემების დამუშავებისათვის საჭირო კომპიუტერული და ინტერნეტ-რესურსების ფლობა; ახალ და უახლეს ხანაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებისა და ურთიერთაღქმის საფუძვლიანი ცოდნა. გარდა ამისა, მოდულების მიხედვით კურსდამთავრებულებს გააჩნიათ შემდეგი უნარები ცოდნისა და გაცნობიერების სეგმენტში: **I მოდული – ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია –** ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის დარგში ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ცოდნა; ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფიის განვითარების ეტაპების ცოდნა; ახალ და უახლეს პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნა; ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიის საკვანძო საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა; **II მოდული – ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** – ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა; ისლამური ფუნდამენტალიზმის ისტორიისა და განვითარების თავისებურებათა გამოკვეთა და დაკავშირება; ისლამის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღის როლის გააზრება და შეფასება; საბაზისო ცოდნა ქრისტიანული საქართველოს ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში და ამ ურთიერთობის კვლევის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების გაცნობა; ქრისტიანულ საქართველოსა და ისლამურ სამყაროს შორის მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებისა და გამოვლინებების ცოდნა; **III მოდულის – შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** – შორეული აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების ზოგად კანონზომიერებათა, ისტორიული პერიოდების ქრონოლოგიური ჩარჩოების სპეციფიკურობის ღრმა და სისტემური ცოდნა; ბუდიზმის და ბუდისტური სამყაროს შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ათვისება; ბუდიზმის როგორც ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების ცოდნა; **IV მოდული – საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში** – ახალ და უახლეს პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნა; ცივი ომის ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნა; საბაზისო ცოდნა საერთაშორისო საჯარო სამართლის დარგში.

1.1	ისტორიის მეთოდოლოგიისა და ისტორიული მეთოდის განვითარების ეტაპების ცოდნა	**ისტორიის მეთოდოლოგია** (სავალ-დებულო ყველა მოდულისთვის)
1.2	სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ათვისება, კითხვა და გააზრება	**ისტორიის მეთოდოლოგია** (სავალ-დებულო ყველა მოდულისთვის) **საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში** (სავალ-დებულო I და IV მოდულებისთვის) **რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფია** (სავალ-დებულო I მოდულისთვის)
1.3	ისტორიული დიდაქტიკის ცოდნა	**ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის)
1.4	ისტორიის დიდაქტიკის დარგში თანამედროვე მიღწევების შესახებ მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების ცოდნა	**ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის)
1.5	კომპიუტერული და ინტერნეტ-რესურსების ფლობა ისტორიული ან მსგავსი მონაცემების დამუშავებისას	**ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის)
1.6	ახალ და უახლეს პერიოდში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული ურთიერთობების საფუძვლიანი ცოდნა	**აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის)
1.7	ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის განსხვავებების და მსგავსებების საფუძვლიანი ცოდნა	**აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის)
1.8	რელიგიათა თანაარსებობისა და დიალოგის შესაძლებლობის გაცნობიერების უნარი	**აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის)
1.9	ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის დარგში ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ცოდნა	**ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია** (სავალდებულო I მოდულისთვის)
1.10	ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფიის განვითარების ეტაპების ცოდნა	**ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია** (სავალდებულო I მოდულისთვის)
1.11	თანამედროვე ისტორიოგრაფიული მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების ცოდნა	**ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია** (სავალდებულო I მოდულისთვის)
1.12	ახალ და უახლეს პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნა	**საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში** (სავალ-დებულო I და IV მოდულებისთვის)
1.13	რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფიის მიმდინარეობებისა და კვლევების ცოდნა	**რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფია** (სავალ-დებულო I მოდულისთვის)
1.14	კვლევის საგნის დასახვის უნარი, იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოს ისტორიოგრაფიულ ცოდნასა და დებატებში	**რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფია** (სავალ-დებულო I მოდულისთვის)
1.15	ისტორიის მეცნიერების რაობის და მისი თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის შესახებ სრულყოფილი ცოდნა	**თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება** (სავალდებულო I მოდულის-თვის)
1.16	ისტორიის მეცნიერების სხვადასხვა პარადიგმებისა და ისტორიოგრაფიული მიმდინარეობების ძირითადი მახასიათებლების გაცნობიერება	**თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება** (სავალდებულო I მოდულის-თვის)
1.17	ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური,	**პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და**

	ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა	**კულტურული პროცესები ახლო აღმოსავ-ლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი პე-რიოდი)** (სავალდებულო II მოდულის-თვის)
1.18	ცალკეულ თემასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების ადეკვატურ ჭრილში განხილვა (წყაროების თუ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული სათანადო მასალების გათვალისწინებით)	**პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავ-ლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი პე-რიოდი)** (სავალდებულო II მოდულის-თვის)
1.19	ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ახლებური პოლიტიკურ-გეოგრაფიული გააზრება მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შუქზე	**პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავ-ლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი პე-რიოდი)** (სავალდებულო II მოდულის-თვის)
1.20	საბაზისო ცოდნა ქრისტიანული საქართველოს ის-ლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთი-ერთობის ისტორიაში; ამ ურთიერთობის კვლევის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების გაცნობა	**საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა** (სავალდებულო II მოდუ-ლისთვის)
1.21	ქრისტიანულ საქართველოსა და ისლამურ სამყაროს შორის მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებისა და გამოვლინებების ცოდნა	**საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა** (სავალდებულო II მოდუ-ლისთვის)
1.22	ქვეშევრდომ მუსლიმთა მიმართ საქართველოს სამე-ფო კარის რჯულშემწყნარებლური პოლიტიკის გა-აზრება და შესაბამის პერიოდში მუსლიმთა რელი-გიური პოლიტიკის შეფასება არამუსლიმებთან მიმართებაში	**საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა** (სავალდებულო II მოდუ-ლისთვის)
1.23	საბაზისო ცოდნა ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობის, ისლამური ექსტრემიზმის შესახებ, თანამედროვე ისლამური სამყაროს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისლამური ფაქტორის გაძლიერების მიზეზებისა და შედეგების შესახებ	**ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალ-დებულო II მოდულისთვის)
1.24	ისლამური ფუნდამენტალიზმის ისტორიისა და განვითარების თავისებურებათა გამოკვეთა და დაკავშირება	**ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალ-დებულო II მოდულისთვის)
1.25	ისლამის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღის როლის გააზრება და შეფასება	**ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალ-დებულო II მოდულისთვის)
1.26	ისლამისტების პოლიტიკური დოქტრინის, ძირითადი ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურის, იდეოლოგიური საფუძვლების და საქმიანობის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა	**ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალ-დებულო II მოდულისთვის)
1.27	ანტიტერორისტული კანონმდებლობისა და რადიკალურ ისლამთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალებების ცოდნა, შეფასება და განმარტება	**ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალ-დებულო II მოდულისთვის)
1.28	სტუდენტს მიეცემა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში გამოკვეთილი ტენდენციებისა და პრობლემების საფუძვლიანი, ღრმა და სისტემატიზებული ცოდნა	**მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია** (სავალდებულო II მოდულისთვის)
1.29	თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციური პროცესების სხვადასხვა ასპექტების მნიშვნელობის გაცნობიერება	**მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია** (სავალდებულო II მოდულისთვის)
1.30	შორეული აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების ზოგად კანონზომიერებათა,	**შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის)

	ისტორიული პერიოდების ქრონოლოგიური ჩარჩოების სპეციფიკურობის ღრმა და სისტემური ცოდნა	**შორეული აღმოსავლეთის უახლესი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის)
1.31	შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ახალი ისტორიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ათვისება კრიტიკული გააზრება	**შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის) **შორეული აღმოსავლეთის უახლესი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის)
1.32	უძველესი მსოფლიო რელიგიის – ბუდიზმის და ბუდისტური სამყაროს შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ათვისება და კრიტიკული გააზრება	**შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამყარო** (სავალდებულო III მოდულისთვის)
1.33	აზიის კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე ბუდიზმის როგორც ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების ღრმა და სისტემური ცოდნა	**შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამყარო** (სავალდებულო III მოდულისთვის)
1.34	იაპონური ენის საბაზისო ცოდნა	**იაპონური ენა 1, იაპონური ენა 2, იაპონური ენა 3** (სავალდებულო III მოდულისთვის)
1.35	„ცივი ომის“ მიმდინარეობის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა	**„ცივი ომი“ და საბჭოთა კავშირის დაშლა** (სავალდებულო IV მოდულისთვის)
1.36	საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი დებულებების სისტემური ცოდნა	**საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები** (სავალდებულო IV მოდულისთვის)
1.37	ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) B2 დონე (ყველა მოდულისთვის)

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი; ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით მასალის დამუშავების უნარი; მრავალმხრივი მასალის თანმიმდევრული ორგანიზების უნარი; განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი; აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული პრობლემების ისტორიულ კონტექსტში გაანალიზების უნარი.

2.1	საკამათო საკითხებზე დისკუსიის წარმოების, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი	**ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი პერიოდი)** (სავალდებულო II მოდულისთვის) **ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალდებულო II მოდულისთვის)
2.2	ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარი	**ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალდებულო II მოდულისთვის)
2.3	თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით მასალის დამუშავების უნარი	**ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **ისლამური ფუნდამენტალიზმი** (სავალდებულო II მოდულისთვის)

2.4	მრავალმხრივი მასალის თანმიმდევრული ორგანიზების უნარი	**ისტორიის მეთოდოლოგია** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში** (სავალ-დებულო I და IV მოდულებისთვის) **საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა** (სავალდებულო II მოდუ-ლისთვის)
2.5	განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლო-გიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი	**ისტორიის მეთოდოლოგია** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში** (სავალ-დებულო I და IV მოდულებისთვის) **შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის) **შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის) **„ცივი ომი“ და საბჭოთა კავშირის დაშლა** (სავალდებულო IV მოდულისთვის) **საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები** (სავალდებულო IV მოდუ-ლისთვის)
2.6	დამოუკიდებლად მუშაობის უნარი	**ისტორიის მეთოდოლოგია** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **ისტორიის დიდაქტიკა** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის) **საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში** (სავალ-დებულო I და IV მოდულებისთვის) **შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის) **შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია** (სავალდებულო III მოდულისთვის) **შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამ-ყარო** (სავალდებულო III მოდულისთვის) **„ცივი ომი“ და საბჭოთა კავშირის დაშლა** (სავალდებულო IV მოდულისთვის)
2.7	აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული პრობლემების ისტორიულ კონტექსტში გაანალიზების უნარი	**აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში** (სავალდებულო ყველა მოდულისთვის)
2.8	ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.	ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) B2 დონე

დასკვნის უნარი – სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ათვისება, კითხვა და გააზრება; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ჩარჩოებში ინტერპრეტირების უნარი; არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით საკვლევი ტექსტებისადმი ანალიზისა და კომენტარების დართვის უნარი.

კომუნიკაციის უნარი – სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; ქართულ ენაზე წერის უნარი; ინგლისურ ენაზე (საგნების *პირველი მსოფლიო ომის ისტორია* ან *მეორე მსოფლიო ომის ისტორია* ინგლისურ ენაზე გავლის ან ინგლისური ენის კურსის არჩევის შემთხვევაში) წერის უნარი შესაბამისი ტერმინოლოგის გამოყენებით; ზეპირი კომუნიკაციის უნარი ინგლისურ ენაზე (საგნების *პირველი მსოფლიო ომის ისტორია* ან *მეორე მსოფლიო ომის ისტორია* ინგლისურ ენაზე გავლის ან ინგლისური ენის კურსის არჩევის შემთხვევაში); არაბულ, თურქულ, სპარსულ ან იაპონურ ენებზე (არჩევის შემთხვევაში) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი (შესაბამისი უცხოური ენის კურსის არჩევის შემთხვევაში).

სწავლის უნარი – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობის უნარი; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; კვლევის საგნის დასახვის უნარი, იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოს ისტორიოგრაფიულ ცოდნასა და დებატებში; განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები – განსხვავებული აზრის პატივისცემა; განსხვავებული კულტურების პატივისცემა; საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა და პატივისცემა; ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათავისება; აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის ნორმების დაცვა.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების, რეფერატისა და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს შემდეგ მეთოდებს:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერითი მუშაობის მეთოდი
4. დემონსტრირების მეთოდი
5. დისკუსია/დებატები
6. თანამშრომლობითი სწავლება
7. შემთხვევის ანალიზი
8. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
9. ევრისტიკული მეთოდი

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 _ ფრიადი, A; 81-90 _ ძალიან კარგი, B; 71-80 _კარგი, C; 61-70 _ დამაკმაყოფილებელი, D; 51-60 _ საკმარისი, E; 41-50 _ ვერ ჩააბარა, FX; 0-40 _ ჩაიჭრა, F. ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

10. დასაქმების სფეროები – ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრს შეუძლია მუშაობის გაგრძელება როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ სფეროში. ის შეიძლება დასაქმდეს საშუალო (მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში) და უმაღლეს სკოლაში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში, მას-მედიის საშუალებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ სექტორში, გამომცემლობებში და ა.შ.

გარდა ამისა, ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობის მაგისტრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მესამე საფეხურზე – დოქტორანტურაში.

11. სასწავლო გეგმა: იხ. დანართი №1

12. სილაბუსები: იხ. დანართი №2

13. <u>სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი</u>: ისტორიის დოქტორი, პროფ. **თეიმურაზ პაპასქირი**

14. დამატებითი ინფორმაცია:

ა) პროგრამის ზუსტი ანალოგი არ არსებობს. მსგავსი სახის პროგრამები არის მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში, მაგალითად:

University of Oxford – The Master of Philosophy in Modern European History
http://www.history.ox.ac.uk/faculty/programme_specifications/mphil_modern_european_history%20.pdf

University of Cambridge – The Master of Philosophy in Modern European History
http://www.hist.cam.ac.uk/pgadmissions/mphil/modeuro.html

Columbia University – MA Program in International and World History
http://worldhistory.columbia.edu/home

University of London – MA in Contemporary History and Politics
http://www.bbk.ac.uk/study/pg2011/history/TMAHI_PO.html
University of Sussex – MA in Contemporary History
http://www.sussex.ac.uk/study/pg/2011/taught/1661/23766

University of Nottingham – MA in Politics and Contemporary History
http://pgstudy.nottingham.ac.uk/School/Courses/overview.aspx?id=213

London School of Economics – MA/MSc in History of International Relations
http://www2.lse.ac.uk/study/graduate/taughtProgrammes2011/MA_MScHistoryOfInternationalRela

tions.aspx

ბ) სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება ხდება ციტირების წესის მიხედვით, რომელიც თან ერთვის პროგრამას (იხ. დანართი №4).

15. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

1.	თეიმურაზ პაპასქირი (პროგრამის ხელმძღვანელი)	პროფესორი
2.	გიული ალასანია	პროფესორი
3.	გოჩა ჯაფარიძე	პროფესორი
4.	მერაბ კალანდაძე	ასოცირებული პროფესორი
5.	ნინო კიღურაძე	ასოცირებული პროფესორი
6.	ნანი გელოვანი	ასოცირებული პროფესორი
7.	ნანა გელაშვილი	ასოცირებული პროფესორი
8.	ვასილ კაჭარავა	ასოცირებული პროფესორი
9.	ელენე მეძმარიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
10.	ფატი შეყლაშვილი	ასისტენტ პროფესორი
11.	ბონდო კუპატაძე	ასისტენტ პროფესორი
12.	გივი ბოლოთაშვილი	მოწვეული პროფესორი
13.	ლეილა (ია) ხუბაშვილი	მოწვეული პროფესორი
14.	მარინე ღუდუშაური	მოწვეული პროფესორი
15.	გიორგი ცხოვრებაძე	მოწვეული პროფესორი
16.	ვეფხვია გვარამია	მოწვეული პროფესორი
17.	თათია მემარნიშვილი	მოწვეული პროფესორი
18.	ენდრიუ ჰარგრივსი	მოწვეული პროფესორი

იხ. დანართი №3

16. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ-ს ცენტრალური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა პროგრამაში მონაწილე ინსტიტუტებისა თუ დეპარტამენტების ბიბლიოთეკის ბაზაზე, აგრეთვე სხვადასხვა არქივების, წიგნთსაცავებისა და ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით.

17. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ახალი და უახლესი ისტორია**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **პროფ. თეიმურაზ პაპასქირი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)													
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში				საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სემინარი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადებლად	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება	დასკვნითი გამოცდის ჩაბარება		შემოდგომა	გაზაფხული	
1.	ისტორიის მეთოდოლოგია	10	45	45	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	I		ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
2.	ისტორიის დიდაქტიკა	5	30	15	45	12	20	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილი
3.	აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს პერიოდში	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		პროფ. გოჩა ჯაფარიძე

არჩევითი მოდულები												
I მოდული: ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
4.	დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია	10	45	45	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
5.	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში[1]	10	60	30	128	8	20	4	წინაპირობის გარეშე	I		პროფ. თეიმურაზ პაპასქირი
6.	რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყ-ნების ისტორიოგრაფია (ძირითადი ტენდენციები) (I მოდული)	5	30	15	45	12	20	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილი
7.	თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
II მოდული: ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი) სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
8.	პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავ-ლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი პე-რიოდი)	10	60	30	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	I		პროფ. გიული ალასანია
9.	საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა	10	60	30	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. გიული ალასანია
10.	ისლამური ფუნდამენტალიზმი	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ნანი გელოვანი
11.	მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ია ხუბაშვილი
III მოდული: შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი) სავალდებულო სასწავლო კურსები – 35 კრედიტი (ECTS)												
12.	შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ასოც. პროფ. ნანა გელაშვილი
13.	შორეული აღმოსავლეთის უახლესი ისტორია	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ.

[1] არჩევითი სტატუსით საგენის არცევა შესაძლებელია II და III მოდულის სტუდენტებისთვის.

												ნანა გელაშვილი
14.	კულტურათა დიალოგი შორეულ აღმოსავლეთში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ნანა გელაშვილი
15.	შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამყარო	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. ნანა გელაშვილი
16.	იაპონური ენა 1	5		60	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მოწვ. მასწ. თათია მემარნიშვილი
17.	იაპონური ენა 2	5		60	45	8	9	3	იაპონური ენა 1		II	მოწვ. მასწ. თათია მემარნიშვილი
18.	იაპონური ენა 3	5		60	45	8	9	3	იაპონური ენა 2	III		მოწვ. მასწ. თათია მემარნიშვილი
IV მოდული: საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში სავალდებულო სასწავლო კურსები – 25 კრედიტი (ECTS)												
19.	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში[2]	10	60	30	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	I		პროფ. თეიმურაზ პაპასქირი
20.	ცივი ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა	10	45	45	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		II	ისტ. დოქტ. გივი ბოლოთაშვილი
21.	საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		სამართლის დოქტ. ვეფხვია გვარამია
არჩევითი სასწავლო კურსები – 35-45 კრედიტი (ECTS) (მოდულების მიხედვით)												
22.	მეორე მსოფლიო ომის ისტორია (ყველა მოდულისათვის)	10	45	45	128	8	20	4	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. თ. პაპასქირი
23.	საფრანგეთი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქაში (I მოდული)	5	30	15	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. თ. პაპასქირი ან ასოც. პროფ. მ. კალანდაძე
24.	ინგლისი XVII საუკუნეში (I მოდული)	5	30	15	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე	I		ასისტენტ-პროფესორი თამარ ანთაძე
25.	საფრანგეთი XVII საუკუნეში (I მოდული)	5	30	15	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. თ. პაპასქირი ან ასოც. პროფ. მ. კალანდაძე
26.	დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში (I მოდული)	5	30	15	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე

[2] არჩევითი სტატუსით საგენის არცევა შესაძლებელია II და III მოდულის სტუდენტებისთვის.

27.	რეფორმები თუ რევოლუცია: დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს მაგალითზე (I მოდული)	5	30	15	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
28.	პირველი მსოფლიო ომის ისტორია (ყველა მოდულისათვის)	10	45	45	128	8	20	4	წინაპირობის გარეშე	I		პროფ. თ. პაპასქირი
29.	ევროპა XVI საუკუნეში (I და IV მოდული)	5	30	15	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე	I		ასოც. პროფ. ია ხუბაშვილი
30.	სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში და ევროპული პოლიტიკა (I მოდული)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ფატი შეყლაშვილი
31.	ქალი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში (I მოდული)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. ელენე მეძმარიაშვილი
32.	ტოტალიტარული რეჟიმები XX საუკუნეში (ყველა მოდულისათვის)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ისტ. დოქტ. კახაბერ კვაშილავა
33.	რუსეთის უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე) (I მოდული)	5	30	15	45	12	20	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილი
34.	გერმანია 1871-1945 წლებში (I მოდული)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. ფატი შეყლაშვილი
35.	არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა (II მოდული) (არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5		60	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I, III		ასოც. პროფ. დარეჯან გარდავაძე
36.	ბიზნეს არაბული (II მოდული) (არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5		60	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I, III		ასოც. პროფ. დარეჯან გარდავაძე
37.	თურქული პრესის ენა (II მოდული) (თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I, III		ასოც. პროფ. ქეთევან ლორთქიფანიძე
38.	თურქული სამეტყველო ეტიკეტი და ოფიციალურ-საქმიანი სტილი (II მოდული) (თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I, III		ასოც. პროფ. ელისაბედ ბჟალავა
39.	სპარსული პრესის ენა (II მოდული) (ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. თეა შურღაია
40.	სპარსული მეტყველების კულტურა (II მოდული) (ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	79	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I, III		ასოც. პროფ. თეა შურღაია
41.	ისლამი და გენდერი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (II მოდული)	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ.

												ნანი გელოვანი
42.	ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი/ (II მოდული) (არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ნანი გელოვანი
43.	რელიგია და პოლიტიკა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში (II მოდული) (არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	62	5	10	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ნანი გელოვანი
44.	მამლუქები და საქართველო (II მოდული)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		პროფ. გ. ჯაფარიძე
45.	შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა (III მოდული)	10	30	30	150	16	20	4	წინაპირობის გარეშე	I		ეკონომიკის დოქტ. მარინე ღუდუშაური
46.	იაპონური კულტურა (III მოდული)	10	30	60	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. ნ. გელაშვილი
47.	აღმოსავლური ეთიკური თეორიები (III მოდული) (სამაგისტრო პროგრამიდან „ფილოსოფია“)	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. ანასტასია ზაქარიაძე
48.	შორეული აღმოსავლეთის რელიგიები (III მოდული)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ნანა გელაშვილი
49.	თანამედროვე ინდოეთის ჩამოყალიბება (ინგლისურენოვანი კურსი)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	
50.	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა (ჯ. ვაშინგტონიდან ჯ. ბუშამდე) (სამაგისტრო პროგრამიდან „ამერიკისმცოდნეობა“) (IV მოდული)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. ვასილ კაჭარავა
51.	რუსეთის დიპლომატია XIX-XX საუკუნეებში (IV მოდული)	5	30	15	45	12	20	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილი
52.	დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკა (IV მოდული) (სამაგისტრო პროგრამიდან „საქართველოს ისტორია“)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე
53.	საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორია და თანამედროვეობა (IV მოდული)	5	30	15	45	12	20	3	წინაპირობის გარეშე	I		ასოც. პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილი
54.	ტერორიზმი ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში (IV მოდული)	10	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ელენე მეძმარიაშვილი
55.	საერთაშორისო ორგანიზაციები (IV მოდული)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. ფატი შეყლაშვილი
56.	ლათინური ამერიკა საერთაშორისო ურ-	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ისტ. დოქტ.

	თიერთობებში (IV მოდული)											გივი ბოლოთაშვილი
57.	რომის პაპების დიპლომატია ახალ და უახ-ლეს პერიოდში (IV მოდული)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ასოც. პროფ. ია ხუბაშვილი
58.	დაზვერვის ისტორია (IV მოდული)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ისტ. დოქტ. გივი ბოლოთაშვილი
59.	სასულიერო და რაინდული ორდენები და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში (IV მოდული)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ასოც. პროფ. ია ხუბაშვილი
60.	საქართველოს საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში 1918-1933 წლებში (IV მოდული)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ისტ. დოქტ. გიორგი ცხოვრებაძე
61.	დიპლომატიური პროტოკოლი (IV მოდუ-ლი)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ასოც. პროფ. ფატი შეყლაშვილი
62.	ჩინური ენა 1 (III მოდული)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მარინე ჯიბლაძე
63.	ჩინური ენა 2 (III მოდული)	5	30	30	45	8	9	3	ჩინური ენა 1		II	მარინე ჯიბლაძე
64.	ჩინური ენა 3 (III მოდული)	5	30	30	45	8	9	3	ჩინური ენა 2	III		მარინე ჯიბლაძე
65.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) I	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	X	X	ენების ცენტრის მასწავლებელი
66.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) II	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	X	X	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ 20 კრედიტი სხვა მოდულის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან											
	პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმე-ბით შესაძლებელია სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან (ზემოთ მითითებული საგნების გარდა) 10 კრედიტის აღება											
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი